წელიწადი 1-ლი  ვაზ. ფასი 3 შაური.  ტელეფონი № 76.  ხუთშაბათი ნოემბრის 23—(5) 1917

# ჩვენი ქვეყანა

ხელის მოწერის ფასი:
თვიურათ ...
ორი თვით ... თუმანი.
ცალკე ნომერი ... 3 შაური
განცხადების ფასი
პირველ გვერდზე ...
უკანასკნელ გვერდზე ...
ქალაქ გარედან ...
სამგლოვიარო ...
უმეტეს სამი ...
ნ. შ. 1 საათის შემდეგ 3 შ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 182  ყოველდღიური სა3ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  № 182

# ქართველო ერო გილოცავთ საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას

გულ დამწვარნი ჭირისუფალნი ევა, სერგო ლუკას ძე, აგრაფინა, დომინიკა, ალექსანდრა და ბაზილინა, იოსებ, ალექსანდრე და ივანე ჭეიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლისა მეორე ძმისა, მესამე მაზლისა, მეოთხე ძმის შვილისა

**კირილე ლუკას ძის ჭეიშვილის**

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს ხუთ საათზე, საკუთარ სახლში მესამე ალექსანდრეს ქუჩა. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულ დამწვარნი ჭირისუფალნი მართა, ტარასი, ვლადიმერ და რაჟდენ ლუკას ძენი, ლუბა, ლუბა, დარიკო და ევა ლუკას ასულნი შალამბერიძეები და სონია ფხაკაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი საყვარელი შვილისა, მეორენი ძმისა, მესამენი მაზლისა და მეოთხე ძვირფასი ბიძისა

**არჩილ ლუკას ძის შალამბერიძის**

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს ხუთ საათზე, საკუთარ სახლში, მესხეთის ქუჩა სახლი № 36. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

## განცხადება.

**ქალაქ ქუთაისის სახურსათო გამგეობა** ამით აცხადებს, რომ კომიტეტის სახელოსნოში დამზადებული

## წუღები

გადაეცა ოთხს სარაიონო სასურსათო კომიტეტს. ეს **წუღები** ღარიბ ოჯახებს შეუძლიათ შეიძინონ კომიტეტის მიერ დაწესებულ ფასებში. ჩაწერა წუღების შესაძენათ შეიძლება რაიონების კომიტეტებში ოცდა სამ ნოემბრიდან.

ქ. **ქუთაისის სახურსათო გამგეობა.**

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი.

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და სალამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ (წყალ-გამოლმა) უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში—სამსონ ბოკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეარის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და სალამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

**სახის სამკურნალო კაბინეტი**
**მ ა რ ე ა მ ტ. ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ი ს ა.**

ვსპობ სახეზე მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილევს და ყოველ გვარ სახის ავადმყოფობას.

**ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს ანუ ქეტერს, აგრეთვე ცვენას.

ავათმყოფები მიიღება მხოლოთ დილის 10 სათ. 2-მდე.

რჩევა და დარიგება ერთი მან. მისამართი დადიანის შესახვევში კოსტავას სახლი № 17.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. სალამოს 7—9 ს. ჟუჟუნის ქუჩა, კიტუშინსკის სახლი

## ე ქ ი მ ი

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სალ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და სალამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## წინასწარი ზავი.

კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდალთან ოსმალეთის მთავრობას დელეგაცია გამოუგზავნია შემდეგის მონდობილობით. „ჩამოვარდეს კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე დროებითი ზავი დაიწყოს საბოლოო ზავის შემუშავებისთვის მოქმედება.

როგორც გუშინ ქუთაისში ჩამოსულმა ამიერ-კავკასიის დრ. მმართველობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ადგილობრივ კომისარიატს აცნობა ოსმალეთის მმართველობის წინადადება ამიერ-კავკასიის დრ. მმართველობას მიუღია და ნოემბრის 27-ისთვის თფილისში დაუნიშნავთ ბჭობა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისა ზავის კითხვის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

ცნობა დიდათ საყურადღებოა.

კავკასიის ცენტრზე მოწყვეტის და მეუმრავლესეთა გამთავრებას შემდეგ პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებისთვის საკუთარი პრობლემა დასჭირდა ერები დამოუკიდებელ გზაზე დგებიან.

უაღრესად საჭირო არის გადიჭრას კითხვა ოსმალეთთან ომისა.

კავკასიის ერები თავის-თავის პატრონობას იწყებენ დღეს და ამიტომ შეუძლებელია გაგრძელდეს ოსმალეთთან ომი ამ მიზნითაც მას იმპერიალისტი მმართველობა აწარმოებდა, ეს მას შემდეგ მაინც არ შეიძლება, რაც გამოქვეყნდა საიდუმლო ხელშეკრულებანი.

27 ნოემბერს ყველა კავკასიის ერებს დასჭირდებათ უდიდესი დაკვირვება და სიფრთხილე.

ზავის კითხვა მეტად ძნელი კითხვაა მისი პირობების გამომუშავებას დიდი ცოდნა უნდა.

ქართველების ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება მეტის სიფრთხილით და რეალ მოსალოდნელობის რეალ შედეგებს გათვალისწინებით შეხვდეს ამ ბჭობას.

ქართული პოლიტიკის დაცვა და მისი სისწორით გამომჟღავნება ამ დღეს აუცილებელია. ეროვნულმა ყრილობამ 27 ნოემბერს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

**ი. იმერელი.**

## საქართველოს ეროვნული ყრილობა

**პირველი დღე**

19 გიორგობისთვეს გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. დილის 9 საათიდან აუარებელი ხალხი მიეშურებოდა სახელმწიფო თეატრისაკენ, სადაც დანიშნული იყო ეროვნული ყრილობა. თეატრში წესრიგის მიმცემნი იყვნენ და სტუმრებს ბილეთებით უშვებდნენ თეატრში ვინც წინა დღეებში ვერ მოასწრო შესასვლელი ბილეთების აღება, გარედ დარჩა. ამისთანები ძალიან ბევრნი იყვნენ, რადგან თეატრში ადგილი არ იყო. 12 საათზე თეატრი გაიჭედა ხალხით; პარტერებში, ლოჟებში, იარუსებზე, კორიდორებსა და სცენაზედაც ტევა არ იყო. ვისაც დასაჯდომი ადგილები ვერ ეშოვა ფეხზე იდგნენ. საქართველოს ყველა კუთხის მთელი ქართველობის (განურჩევლად სარწმუნოებისა) ყოველგვარ საზოგადო და კერძო დაწესებულებათა, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მხრივ კრებაზე ჯერ ჯერობით გამოცხადდა 320 კაცამდე. ლოჟებში ადგილი უჭირავთ საპატიო სტუმრებს: 1) კავკასიის მხედრობის მთავარ სარდალს გენერალ პრჟევალსკის ამალით; 2) ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრებს; 3) ამიერ-კავკასიის სარევოლუციო ცენტრების დელეგატებს; 4) უცხო სახელმწიფოთა (ინგლისისა, საფრანგეთისა, ამერიკისა, იტალიისა და სპარსეთის) დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენელი; 5) ეროვნებათა წარმომადგენლები: რუსებისა, პოლონელებისა, უკრაინელებისა, მუსულმანებისა, სომხებისა, ებრაელებისა, აფხაზებისა, ქართველ მაჰმადიანებისა და სხ. ეროვნულ საბჭოების, სხვა და სხვა კომიტეტთა, პარტიათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები გარდა თბილისისა და ქუთაისის ქართული პრესის თანამშრომლებისა არიან კორესპონდენტები თბილისისა, ბაქოსი და რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქების გაზეთებისა. ქართული დროშა აფრიალებულია თეატრის წინა აივანზე, ასეთივე დროშა ამშვენებს სცენაზე დადგმულ მაგიდას მიუხედავად ცივი ამინდისა აუარებელი ხალხია მოზღვავებული. სამაგალითო წეს რიგი არის თეატრის ყველა ადგილას. ხალხი მოუთმენლად მოელის კრების გახსნას. პარტერებში პოლიტიკურ ფრაქციებს ასე უჭირავთ ადგილები: მარცხენა ფთა დაკავებული აქვთ ბოლშევიკებს, შემდეგ არიან მენშევიკები, „ალიონ“-ის მიმდევრები, ესერები, სოც.-ფედერალისტები, უპარტიონი, მარჯვენა ფთაზე ნაციონალ დემოკრატები.

ნაშუადღევის 1 საათ. 15 წ. სცენის ფარდა აიხადა და კრება გახსნა ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც ვრცელი, საპროგრამო სიტყვით მიმართა კრებას. აკაკი ჩხენკელის სიტყვა დიდი გრძნობით და პათოსით იქნა წარმოთქმული, რომელიც შემდეგ იქნება დაბეჭდილი.

ნაშუადღევის ორ საათზე ბ-ნმა ჩხენკელმა თავისი სიტყვა გაათავა, კრება გახსნილად გამოაცხადა და წინადადება მისცა ყრილობას აერჩია პრეზიდიუმი. კრებამ დაადასტურა პარტიების მიერ წინასწარ შედგენილი პრეზიდიუმის სია, რომლითაც თავმჯდომარედ არჩეულია **ნოე ჟორდანია.** მის ამხანაგებად: აკაკი ჩხენკელი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, ვლ. გობეჩია და პ. საყვარელიძე; მდივნებად—ი. მაჭავარიანი, გ. ჟურულიძე, ს. დადიანი. მ. გვაზავა, ი. გომართელი; სამანდატო კომისიაში—პეტრე ბარათაშვილი, რევაზ გაბაშვილი, გიორგი ფაღავა, მ. საყვარელიძე, შალვა მიქელაძე, ლეო შენგელაია, ალ. ყანჩელი, შარაშიძე.

[illegible] ნიას სიტყვა.

ნოე [illegible] თავმჯდომარის სავარ-

ძელი დაიჭირა და მოკლე შემდეგი შინაარსის სიტყვით მიმართა კრებას: ნება მიბოძეთ მოგესალმოთ და მადლობა მოგიძღვნათ ნდობისათვის რომ თავმჯდომარედ ამირჩიეთ. დღემდისაც რამდენიმე პოლიტიკური პარტია მოქმედებდა, მაგრამ ეროვნული ყრილობა არ მოუწვევიათ, ამას თავისი მიზეზი აქვს. ყრილობის მოწვევის ხანა ეხლა დადგა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ერი პატარა არის და ვცხოვრობთ დიდი ფრონტის მახლობლად, ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს ტალღებმა არ ჩაგვითრიოს. რუსეთში აღარ არსებობს ერთიანი მთავრობა, იქ ანარქიაა გამეფებული და უნდა ვეცადნეთ არ წაგვლეკოს ამის ტალღებმა. ეხლავე უნდა შეერთდენ ძალა როგორც ეროვნულად ისე ინტერნაციონალურად და ჩაეყაროს მკვიდრი საფუძველი მომავალ ეროვნულ ცხოვრებას.

### ევგენი გეგეჭკორის სიტყვა.

ევგენი გეგეჭკორმა, ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ, კომისარიატის მონდობილობით და თავის მხრივ მხურვალე სალამი მიუძღვნა კრებას და უსურვა დადებითი შედეგები, რომელსაც მოითხოვს ეხლანდელი მომენტი. ორატორმა განაცხადა სხვათა შორის: სარევოლუციო გამბედაობა, რომელიც გამოიარა ქართველმა ერმა, აიმედოვნებს კომისარიატს, რომ ქართველობა დაიცავს თავის ინტერესებს და რუსეთის ინტერესებსო. უნდა ავიშოროთ თავიდან რუსეთში მოდებული ქარტეხილიო. გაუმარჯოს დიდ რევოლუციას, ერთაშორის სოლიდარობას, ქართველ ერს ქართველ მშრომელ მასასო.

გეგეჭკორის შემდეგ შინარსიანი და გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა პირაჩმა, ამიერ-კავკასიაში რუსეთის კულტურის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარემ! ექ. სულთანოვმა, მუსულმანთა ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენელმა; ბ-ნმა ბეგზადიანმა, სომეხთა ეროვნულ საბჭოს მონდობილობით; ბ-ნმა ჩედელსკიმ, პოლონელთა აღმასრულებელ კომიტეტის მონდობილობით გრუზენბერგმა, ტფილისის ებრაელთა მონდობილებით; მამედ-ბეგ აბაშიძემ, რომლის თითოეული სიტყვა გრძნობით იყო აღსავსე, ქართველი მაჰმადიანთა მონდობილობით; ბ-ნმა ნიახჩიანმა, დაშნაკცაკანთა პარტიის სახელით; ალი კისიმოვმა, მუსულმანთა პარტიის „მევატი“-ს დავალებით, ბატონმა დოლფერმა, პოლონელთა პარტიის პ. პ. ს. მონდობილობით; ბ-ნმა პეკარსკიმ (პოლონურად) პოლონელ მწერალთა მონდობილობით; ბ-ნმა პეპინოვმა, ამიერ-კავკასიის დასავლეთ მხარეს მცხოვრებ მუსულმანთა მონდობილობით; ბ-ნმა დაილიდამ, ლიტველების ორგანიზაციის სახელით და შეიხულ ისლამოვმა, მუსულმან სოციალ-დემოკრ. პარტიის მონდობილობით.

წაკითხულ იქმნა დეპეშა ესპანეთი, კონსულის ბ-ნ ბერებერსონისა, რომელიც აცხადებს, რომ ვსწუხვარ, რომ ვერ მოვედი და ვულოცავ ქართველობას ეროვნულ კონგრესის მოწვევასო.

### სრულიად საქართველოს კათალიკოსის გუჯარი.

თავმჯდომარე ნ. ჟორდანია აცხადებს, რომ სტუმრების მილოცვანი უკვე მოვისმინეთ და ეხლა შინაურ საქმეების განხილვას უნდა შევუდგეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით უნდა მოვისმინოთ სიტყვა საქართველოს კათალიკოსის წარმომადგენლისო,

კათედრაზე ავიდა დეკ. ნ. თალაკვაძე და წაიკითხა კათალიკოს-პატრიარქის გუჯარი, რასაც ხალხი ფეხზე ადგომით ისმენდა.

შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნა საქართველოს ეროვნულ ყრილობის რეგლამენტი, რის შემდეგაც დამტკიცებულ იქმნა სამინისტრო კომისია.

კომისიის წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: გ. ფაღავა, ფ. მგელაძე, შ. მიქელაძე, მ. საყვარელიძე, ი. ჩერქეზიშვილი, ა. ყანჩელი, პ. ბარათაშვილი, რ. გაბაშვილი, შ. მარაშიძე და ლეო შენგელია (ქიჩელი).

### დღიური წეს-რიგი და კომისიები.

თავმჯდომარე აცხადებს შემდეგ წესრიგს: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი, 2) ერობა, 3) იუსტიცია, 6) სკოლა, 7) საბჭოს წევრების არჩევნები და სხ. და მოითხოვს, რომ ამხანაგების შესამუშავებლად არჩეულ იქმნას ხუთი კომისია.

გრ. ვეშაპელი და გვაზავა თხოულობს კომისიების არჩევნების გადადებას შემდეგი დღისთვის, რადგან არჩევნების შესახებ საჭიროა მოლაპარაკება ფრაქციებში და გარდა ამისა იქნებ გამოირკვეს, რომ ხუთ კომისიაზე მეტიც არის საჭირო.

წინადადება შეწყნარებულ იქმნა. კრება გადაიდო შემდეგი დღის პირველ საათამდე.

### რეგლამენტი ეროვნულ ყრილობისა თავმჯდომარის განკარგულებით.

1) თავმჯდომარის უდასტუროდ სიტყვის წარმოთქმის ნება არავისა აქვს. ლაპარაკის მსურველი თავმჯდომარისაგან იღებს ნებართვას ბარათის მიწოდებით.

2) მომხსენებლის პირველი სიტყვა დროით არ განისაზღვრება. მეორედ შეუძლიან ილაპარაკოს არა უმეტეს ნახევარ საათისა. დანარჩენ ორატორებს პირველ სიტყვის სათქმელად ეძლევათ 15 წუთი, ხოლო მეორედ 5. სიტყვა კითხვის დაყენების შესახებ განსაზღვრულია სამის წუთით.

3) ერთსა და იმავე საკითხის შესახებ ერთსა და იმავე ორატორს მხოლოდ ორჯერ შეუძლიან ლაპარაკი.

4) განმარტება საპირადო საკითხის გამო მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც კამათი მთავარ საკითხის გამო დამთავრებულია.

5) ვინიცობაა, ორატორთა სიაში მოთავსებული პირი კრებაზე არ აღმოჩნდა, როცა მისი ჯერი დადგება, იგი პირველად გადატანილ იქმნება სიის ბოლოს და განმეორებით კი — სრულებით ჰკარგავს სიტყვის უფლებას.

6) ორატორთ შეუძლიანთ თვისი ჯერი ლაპარაკისა ერთმანეთს დაუთმონ ან თავის უფლება სიტყვის თქმისა მას გადასცეს, ვინც სიაში შეტანილი არ არის.

7) სიტყვა წარმოითქმის მხოლოდ ტრიბუნიდან.

8) ყოველი წინადადება წერილობით მიიღება თავმჯდომარის მიერ.

9) კითხვის დაყენების წესრიგი თავმჯდომარეზე არის დამოკიდებული.

10) ყოველი დადგენილებანი მიიღება ხმის მარტივი უმრავლესობით, ხელის აწევით ან ადგომით.

### გუჯარი სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქის კირიონ II-სა საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიმართ

მშვიდობა თქვენდა და კურთხევა, რჩეულნო ივერიისანო! ძალამიხდილი, ჭაღარამოსილი მამათმთავარი ებრაელთა იაკობ ქვეყანასა უცხოსა ეგვიპტისასა მოუწოდებდა ძეთა თვისათა ათორმეტთა და ეტყოდა: „შემოკრბით ჩემდა, რათა მიგითხრა რაი შეგემთხვევის თქვენ უკანასკნელსა დღეთასა, შემოკრბით და ისმინეთ ძეთა იაკობისთა, ისმინეთ ისრაელისა, მამისა თქვენისა“ (შესაქ. 49,—2). ასულნო და ძენო აწ წარტყვევნილისა და ძალამიხდილისა მცხოვანის საქართველო ანო! შემოკრბით ჩემდა, მამათმთავარისა თქვენისა, და ყური მიუპყართ სიტყვათა ჩემთა.

ოდეს ერი ქართველთაჲ გარემოიცვა შურმან, მტრობამან და ურთიერთას გაუგებრობამან, ოდეს იგი დაადგა გზასა დანაწილებისა და დაწვრილებისასა, — შესუსტდა შემოქმედობითი ნიჭი მისი, შეირყა სიმხნე სულისა მისისა, დაკნინდა შინაგანი ცხოვრება მისი, დაეცა სახელმწიფოებრივი ძალი მისი და მან. ლაღმან და ქედმაღლობამან, მუხლი მოიდრიკა წინაშე უცხოთესლისა, რომელმან, თქმულისაებრ წერილისა, „ძენი თქვენნი წარიყვანნა და ცხენთა ზედა აღისხნა, ასულნი თქვენნი აღიხვნა და მზარეულ ქმნა; აგარაკნი თქვენნი და ვენახნი, ზეთის ხილნი თქვენნი და კეთილნი მოგიღოთ; თესლი თქვენნი და ღვინო განგიათეულნა და გყო თქვენ მისდა მონად“ (მეფ. 1, VIII, 11—17). „რაოდენგზის ინება“ ღმერთმან მშობელმან „შეკრება თქვენი, ვითარსახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, გარნა არა ინებეთ ესე“ (მათ. 23, 37) და არცა „უფალმან“ თქვენმან ნებაეცა ამისი. და დღეს, ოდეს ვხედავ კრებულსა რჩეულთასა დიდსასადელსა, წინასწარმეტყველებრ ვღაღადებ: „აჰა ესერა რაჲმე კეთილ ანუ რაჲმე შვენიერ, არამედ დამკვიდრებაჲ ძმათა ერთად“ (ფსალ. 132, 1). ხელთა შინა თქვენთა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სასო და ხელისამპყრობელ მისი. ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოსა, სანაპიროთა თვისთაგან გადმოხეთქილი, და წარღვნასა უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა. და თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნობა და დღისა ვარამის განმსჭვრეტელობა წინდი არს იმისა, ვითარმედ „აღსდგებიან მკვდარნი“ (ის. 26, 19), საქართველო განცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატიანესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა იყავნ, იყავნ!

აჩრდილნი დიდებულთა ჩვენთა წინაპართანი, ვედრებანი ახლად აღდგენილ ივერიის ეკლესიისანი და კურთხევა ჩემის უღირსოებისაო ჯვარვიდეს და წინაგიძღოდეს თქვენ გზასა მას მოღვაწებისა თქვენისასა.

მდაბალი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი.

ქ. თბილისით

19 ნოემბერს 1917 წ.

ეროვნულ-დემოკრატიულ პრატიის სასარგებლოთ საზოგადო დარბაზში 25 ნოემბერს

# გაიმართება დიდი საღამო

თბილისიდან გამოწერილი არიან მომღერალნი, მაცეკვარნი, მემუსიკენი, საზანდარი, ჩაი, საუცხოვო ვახშამი, საჯარო ვაჭრობა, პტიშვო და სხვა.

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამაში.

## „მეუმრავლესეთა ზავი“.

4 და 5 ივლ. სს ლენინი თავის აღფრთოვანებულ სიტყვაში ხალხს ეფიცებოდა: „მეუმრავლესენი ამყარებენ დაუყონებლივ ზავს, მეუმრავლესენი აძლევენ მშიერთ პურსო“.

მაშინ ბევრი მოხიბლა ლენინის დაპირებამ და მისმა რაზმმა ძლიერება იწყო.

გავიდა დრო.

რევოლუციის მსვლელობაში მოხდა ცვლილება.

დღეს ცენტრალი რუსეთი საპატრონოთ მეუმრავლესეთ ჩაბარდა.

მაგრამ ამ დღიდან პური უფრო შემოაკლდათ ქალაქებს და ბრძოლის ველს. გლეხი წინანდებურათ არ იძლევა პურს.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ზავის კითხვაა.

გულუბრყვილონი ელოდენ, რომ დაიჭერს თუ არა ხელში მმართველობის საჭეს ლენინი, იმ წამსვე ომი დასრულდებაო.

როგორ დაიწყეს მეუმრავლესეთ საზავო კომპანია?

ამ კითხვაზე თვითონ ისინი ვერ მოიცემიან გარკვეულ პასუხს.

ლენინს ლაშქრის ცალკე ნაწილებისთვის მიუმართავს თქვენ ფრონტებზე ზავი ჩამოაგდეთო. ასეთი ზავი ჯერ ისტორიას არ ახსოვს; ლენინმა მებრძოლ სახელმწიფოთ ძოწოდებით მიმართა, საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ, მან გამოაქვეყნა ყველა საიდუმლო ხელშეკრულებანი რუსეთის ტახტისა.

მაგრამ რა მერე ამით? თვითმპყრობელურ მთავრობას იმპერიალისტური სულის კვეთება გაიგო ყველამ და სხვა არაფერი, თითქოს ეს ახალი ამბავი იყოს.

მაგრამ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ თვითონ მეუმრავლესეთა შორის აღმოცენდა უთანხმოება.

კამენევი ბრალს სდებს ლენინს ზავის შეკვრა ლაშქრის ნაწილებისთვის არ უნდა მიგენდოო, უთანხმოება მომხდარა აგრეთვე ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს და ლენინს შორის.

ლენინმა უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა, რომ მეუმრავლესენი დაუყონებლივ ზავს კი არ პირდებოდენ ხალხს, არამედ სასწრაფოთ საზავო კომპანიის დაწყებას, რაც შესრულებულ იქმნა კიდეცო.

როდესაც კაცი თავის დანაპირებს ვერ გაასრულებს, ამისთანა ხრიკები უკან დახევას ნიშნავს.

ლენინმა ისიც სთქვა, რომ თუ ვინცობაა მოკავშირეებმა ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრეს, ჩვენ მათთან საბრძოლველათ საუკეთესო საშუალება გვაქვს, რომელიც ჯერჯერობით საიდუმლოთ დარჩებაო.

როგორც დეპეშამ გადმოგვცა, მოკავშირეთ შემოუთვლიათ, რომ თუ რუსეთი სეპარატიულ ზავზე ხელს მოაწერს, მოკავშირენი გერმანეთთან შეკრავენ ზავს და რუსეთს შეებრძოლებიანო.

შეიძლება დეპეშის ცნობა ჭეშმარიტება არ იქმნეს, მაგრამ მაინც ვის რა გარანტია აქვს, რომ მაგვარ მოვლენას არ ექნება ადგილი.

ვნახოთ რა საიდუმლო საშუალება აქვთ მეუმრავლესეთ რუსეთისთვის ამ საბედისწერო მოსალოდნელობასთან საბრძოლველათ.

ამრიგათ მეუმრავლესეთა დანაპირების საჩქარო ზავის განხორციელება ჯერ არსად სჩანს.

რეს.

## ქართული პრესა

**მიწის საკითხის მოგვარების შესახებ**

მთელი რვა თვის განმავლობაში ელოდა ჩვენი გლეხობა დროებით მთავრობის დაპირების ასრულებას, მთელი რვა თვის განმავლობაში დარწმუნებული იყო ის ან დღეს, ან ხვალ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება და ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას სისრულეში მოიყვანს, მიწას მოგვცემსო.

რუსეთში ეს დაპირება აუსრულებელი რჩება. დამფუძნებელმა კრებამ, რომლის მოწვევა ასე დაგვიანდა, შეიძლება ჩაილულის წყალი დალიოს ამ ახლო მომავალში მაინც. მართალია, არჩევნები ხდება მთელს რუსეთში, მაგრამ ბოლშევიკების ანარქისტულმა გამოსვლამ, მათ მიერ „ძალა-უფლების“ ხელში ჩაგდება. ქვეყანა არივ დარია და საშინელი სამოქალაქო ომს დასასრული არ უჩანს.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გულხელ დაკრეფილი ვისხდეთ და მოველოდეთ სანამ დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს და გლეხობას მიწას მისცემდეს.

ეს კითხვა ჩვენვე უნდა გადავჭრათ ადგილობრივად.

ათასგვარ ჭორებს გაავრცელებენ შავრაზმელები, როგორც მარჯვნიდან ისე მარცხნიდან. ისინი ერთს აურ-ზაურს ასტეხენ და შეეცდებიან ქვეყანა დაარწმუნონ იმაში, ვითომ ჩვენ სეპარატისტები ვიყვეთ, რუსეთიდან გამოყოფას ვაპირებდეთ.

ეს ტყუილია. ადგილობრივ პირობების მიხედვით მიწის საკითხის გადაჭრა სრულიად არ მოასწავებს რუსეთის ჩამოშორებას. პირიქით, მიწის საკითხის გადაჭრა შეაკავშირებს ადგილობრივ დემოკრატიას, რაც საუკეთესო თავდებია საერთოდ რუსეთის დემოკრატიის გაძლიერების.

ზოგიერთების ფიქრით მიწის საკითხის დღესვე წამოყენება სამოქალაქო ომს გააჩაღებს. ვინც ამას ამბობს, ის დიდს სიბეცეს იჩენს. შეუძლებელია ფხიზლათ და მომზადებული არ შეხვდეს მიწის საკითხის გადაჭრას ის ხალხი რომელიც ასე თავდაჭერილათ მთელი რვა თვის განმავლობაში ელოდა რეფორმებს.

პირიქით, თუ ჩვენ დღესვე არ დავაკმაყოფილეთ ხალხი, დემოკრატია დასუსტდება და მის რაზმებში არევ დარევა იქნება შეტანილი.

თათართა შორის უკვე სჩანს ამის შედეგები. იქ დღესაც ბეგები ბატონობენ ხალხი, ცხადია, რევოლუციას არ თანაუგრძნობს, რადგან ამ რევოლუციამ მას არაფერი მისცა.

ასეთივე დამაფიქრებელია აფხაზეთის მაგალითი აფხაზეთში აჰყვენ თავიანთ ურა პატრიოტებს, თავად-აზნაურებს, მათ ზურგი აქციეს მეზობელ დემოკრატიას და მთიულთა კავშირში ამოჰყვეს თავი. მათ მაგალითს მიჰყვებიან ჩვენი მეზობელი ოსებიც.

მიწის საკითხის დღესვე გადაჭრა ნიადაგს გამოაცლის [illegible] და მუქთა ხორებს, რომელთაც შეუგნებელი მასა მიყვება. დასვით დღიურ წეს-რიგში მიწის საკითხი, ჩამოართვით მიწები მემამულეებს და ეკლესია-მონასტრებს და თქვენ ნახავთ როგორ ჩქარა ჩამოშორდეს ხალხი დღევანდელ არა მკითხე მაცხონეებს, მატყუარა მეთაურებს.

როგორ შეიძლება ამ საკითხის პრაქტიკული განხორციელება.

საჭიროა საადგილ-მამულო კომიტეტებმა გამოარკვიონ მიწის რაოდენობა, თავდაპირველათ უნდა მოხდეს, რასაკვირველია, ამ კომიტეტში რეორგანიზაცია დემოკრატიულ ნიადაგზე, ხოლო სადაც კომიტეტები არ არსებობენ, იქ ახალი უნდა იქნას დაარსებული. უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიცეს დეკრეტი მიწების კონფერენციის შესახებ.

მიწების ერთი ნაწილი დღესვე შეიძლება ხალხს გადაეცეს. ეს არის სახაზინო და საუფლისწულო მიწები. ხიზნებს უკვე ფაქტიურათ უჭირავს მიწების განსაზღვრული ნაწილი, ეს მიწები მათს მფლობელობაშია. მხოლოდ მესაკუთრეთ ითვლება მემამულე და ღალასაც იღებს ხიზნისაგან. ეს დამოკიდებულება ერთი კალმის მოსმით შეიძლება გაუქმდეს. გამოაცხადეთ ხიზანი მესაკუთრეთ, მიეცით მას ის მიწა რომლითაც ფლობს და საქმე გათავებულია.

ცხადია, ასეთ მესაკუთრეთ უნდა გამოცხადდენ ხიზანთან ერთად ყველა ის, ვინც ხიზნობას დაობს. ასეთები ბევრია. მთელი წლების განმავლობაში ამუშავებენ ისინი მემამულეების მიწებს, იქვე მოსახლეობენ, გაუყვანიათ არხები და სხვ. მაგრამ მემამულეებმა ათასგვარ ხრიკების საშუალებით მოახერხეს მათი არენდატორებათ გამოცხადება. ასეთები ქართლში მთელი სოფლებია.

ერთი სიტყვით ყველა ხიზანი, ყველა მოიჯარადრე, ყველა ის, რომელსაც სახაზინო მიწა უჭირავს დღესვე მესაკუთრეთ უნდა იქნას გამოცხადებული. უნდა მოისპოს აგრეთვე ყოფილ დროებით ვალდებულების მიერ ხაზინაში გამოყიდულ მიწების გადასახადის შეტანა და მემამულეებს მოესპოს ხაზინიდან ამ ფულის ძლევა.

ყველა დანარჩენი მიწები დღესვე უნდა ჩამოერთვას მემამულეებს და ეკლესია-მონასტრებს და კომიტეტების განკარგულებაში გადაეცეს.

დაყოვნება შეუძლებელია.

„ერთობა“.

## ინკვიზიცია.

ხალისიანად შეხვდა სამეგრელოც დამფუძნებელ კრების არჩევნებს. ყველას სურვილი იყო აქტიური მონაწილეობა მიეღო ამ არჩევნებში და ამით თავისი მოვალეობა მოეხადა სამშობლოს წინაშე. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ ის „დემოკრატიული“ პარტია, რომელიც პასუხ მგებელი და ყველა არსებულ პარტიებზე ძლიერია რიცხვით, ყოველ ფეხის გადადგმაზე, არღვევდა დემოკრატიულ პრინციპებს. ყოველ წამს თელავდენ სოციალ-დემოკრატები არჩევნების წესდების მუხლებს. ერთის სიტყვით, არ ყოფილა ისეთი ადგილი, სადაც ხრიკებისათვის არ მიემართოს ს.-დ. პარტიის წარმომადგენლებსა და დემაგოგიით სასტიკად არ შებრძოლებოდენ სხვა პარტიებს. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია „შეგნებულ“ ამხანაგების, კომისრებისა და მილიციონერების საქციელი. მათი უკანტროლო ბოროტმოქმედება საზღვარს სცილდებოდა. ეს კიდევ არაფერი. მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთ ფრიად აღსანიშნავ ფაქტს, რომელსაც ადგილი ქონდა ს. ზანაში. არჩევნების დღეს იქნა დაპატიმრებული ერ.-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრე ირაკლი კვაშილავა იმავე სოფლის კომისრის ალექსანდრე გაგავას ბრძანებით. მიზეზი დაპატიმრებისა ნუ იტყვით და ის ყოფილა, რომ ირაკლი კვაშილავა არიგებდა თურმე ჩვენი პარტიის ბიულეტენებს თავის ნაცნობებსა და მეგობრებს შორის. ირ. კვაშილავა, როგორც „მოღალატე“ მუშათა პარტიისა თოკით შეკრული და გაგზავნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იქნა ზუგდიდში, რომ იქ დამფუძნებელ კრების არჩევნების დასრულებამდე დაპატიმრებული ყოფილიყო. მაგრამ სასიხარულოდ ხობის კომისრის მიერ განთავისუფლებულ იქნა უდანაშაულო მსხვერპლი. ამით არ დასრულდა „შეგნებულ" ამხანაგ ალ. გაგუას ბოროტ-მოქმედება. მესამე დღეს, როდესაც ირაკლი კვაშილავა გამოცხადდა თავის სოფ. ზანაში ხელმეორეთ დააპატიმრეს იგი, სცემეს და ნუ გაგიკვირდებათ თოკით ხეზე მიაკრეს ისე, რომ პირისახე მზისკენ უნდა ქონოდა. ერთის სიტყვით ნამდვილ ინკვიზიციას ქონდა ადგილი. ნუთუ ინკვიზიცია არ არის ის, რომ ადამიანი სცემოთ, დაამწყვდიოთ აშმორებულ სადგომში, გამოიყვანოთ მეორე დღეს, ხეზე მიაკრათ ბაწრით ისე, რომ პირისახე მზის მხურვალე სხივებს არ მოაშოროს.

ეს „შეგნებული" ამხანაგი, კომისარი ს. ზანისა კიდევ ვინ იცის, რამდენ ხანს გასწევს თავის მოღვაწეობას საზოგადო სარბიელზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ „შეგნებულ" ამხანაგების მეოხებით მეგრელებს თანდათან უცივდებათ და სკეპტიკურათ—უიმედოთ შეჰყურებენ ისინი მომავალს. შეიძლება ს.-დ. პარტიამ თავის გამართლებას მიყოს ხელი ამ შემთხვევაში. მაგრამ ნუ დაივიწყებს ეს პარტია იმას, რომ თავის წევრებს უკანონო მოქმედებისათვის პასუხი მოსთხოვოს, წინაალმდეგ შემთხვევაში თვით პარტია გახდება პასუხისმგებელი ხალხის წინაშე... დრო იყო, ღვთის წინაშე, ჩავარდნილიყო ეს ხალხი სინდისსა და გონებაში, თორემ როცა საქმე უკუღმა დატრიალდება და უკვე საკმაოთ გამოჩნდება სიმპტომები ანარქიისა, გვიანი იქნება „თითზე კბენანი". საჭიროა ხალხში წესრიგის დასაცავად დაინიშნოს ისეთი პირები, რომელთაც ადამიანობის კიდევ რამე შერჩენიათ და არა ისეთი პიროვნებები, რომელთა ცუდ კაცობას, ავაზაკობას ქვანიც კი ღაღადებენ. დროა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს ასეთ ბოროტმოქმედებას.

შალვა კ—შვილი.

ს. ზანა.

# დეპეში

(„ჩვენს ქვეყანას".)

ეროვნულმა ყრილობამ აღიარა საქართველოს პოლიტიკური ავტონომია.

ხანანაშვილი.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

**წინასწარი ზავის ჩამოგდება.** გუშინ, 22 ნოემბერს თბილისიდან ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი, რომელმაც სთქვა, რომ ოსმალეთის მხედრობის მთავარ-სარდალს კავკასიის მხედრობის მთავარ სარდალთან გამოუგზავნია დელეგაცია წინასწარი ზავის ჩამოსაგდებათ და სამუდამო ზავის პირობების შესამუშავებლათ. ამის შესახებ ამიერ-კავკასიის მთავრობას თათბირი მოუხდენია ქ. თბილისში 21 ნოემბერს და ოსმალეთის მხედრობის მთავარ-სარდალის წინადადება მიუღია. 27 ნოემბერს ქ. თბილისში მოხდება ამიერ-კავკასიაში არსებულ ყველა ერთა წარმომადგენლების ყრილობა, სადაც შემუშავებულ იქმნება ზავის პირობები.

**არჩევნები სოფლად.** როგორც ქართლის საზოგადოებიდან (საჩხერის რაიონი) გვატყობინებენ, იქ არჩევნების შედეგი ასეთი ყოფილა: სოციალ-დემოკრატებს № 1 მიუღიათ—3,041 ხმა, ს. რევოლუციონერებს № 3—7 ხმა, ს. ფედერალისტებს № 6—50 ხმა და ეროვნულ დემოკრატებს № 8—306 ხმა.

დ. ცაგერში. ს. დემოკრატებმა მიიღეს 663 ხმა, ს. ფედერალისტებმა 68 ხმა და ეროვნულ-დემოკრატებმა 135 ხმა.

**ქართული პოლკის გარშემო.** ქუთაისში დასასვენებლათ ჩამოსულმა ქართულმა პოლკმა მილიციის უფროსს აღუთქვა დახმარება ქალაქში წესიერების დასაცავათ. პოლკი მილიციის უფროსს ყოველდღე აძლევს საჭირო ჯარის-კაცებს.

**მოხელეთა კავშირის კრება.** 25 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე საოლქო სასამართლოს დარბაზში შესდგება სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურე მოხელეთა კრება მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

**მილიციის შეიარაღება,** ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი ჩხენკელი ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ სოფლის მილიციისათვის იარაღის მიცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მოწმობები ექნება მიცემული გუბერნიის კომისრის მიერ.

**რაჭის მაზრის კომისარი** აცნობებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ მის მაზრაში ითვლება 20,000 კომლი და რადგან კანონით 20 კომლზე უნდა მიცემულ იქმნეს 1 თოფი, ამისთვის საჭიროა გამოგზავნილ იქმნეს 1000 თოფი.

**ბაღდადის რკინისგზა.** ამიერ კავკასიის სამხედრო სამრეწველო კომიტეტი ბაღდადის რკინის გზის გასაყვანათ მუშაობას უკვე შეუდგა.

**სასურსათო კომიტეტში'** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: წინადადება მიეცეს კერძო პირებს, რომელთაც შეძენილი აქვთ ლობიო დაუყონებლივ გადასცენ ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებს. წინაალმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

**მშრომელი გლეხის „პროტესტი".** გუშინ, ჩვენს რედაქციაში შემოვიდა სოფ. სვირის მცხოვრები ლვარსაბ გიორგაძე და განაცხადა, რომ იგი „პროტესტს" აცხადებს ამავე სოფლის 20 კომლის გლეხების სახელით, იმის გამო რომ ეს 20 კომლი რაღაც მანქანებით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ და ამგვარათ ხმა დაუკარგვინებიათ. ასეთი „პროტესტები" სხვა სოფლებიდანაც მოგვდის.

**ქურდობა.** ღამით, ნოემბრის 22 საკათედრო ტაძრის მახლობლათ ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ზვიადაძისა და ვაწაძის სამკერვალო სახელოსნო. წაიღეს 10,000 მანეთის შეკერილი და შეუკერავი მაუდები.

— ამავე ღამეს ბალახვანის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ლ. დათიაშვილის ხილეულობის დუქანი, საიდანაც წაიღეს 259 მანეთის ნივთები და სხვა ხილეულობა.

**დაჭრა** 18 ნოემბერს ადგილობრივ ხაზინაში ამავე ხაზინის მოხელემ შავგულიძემ რევოლვერით დაჭრა ცხაკაია.

**დაუდევრობა.** ღამით, ნოემბრის 20 თბილისის ქუჩაზე ჯარის კაცს, რომელსაც ხელში თოფი ეკავა, ეხუმრებოდენ მისივე ამხანაგები. დარაჯმა მათ თოფი დაუმიზნა, რომელიც გაუარდა. ტყვია მოხვდა სახლის კედელს, ქვის ნატეხები კი ერთ ჯარის კაცს სახეზე; უკანასკნელი დაშავდა. საჭიროა, რომ მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ დარაჯ ჯარის კაცებმა, რომ მარცხი არ მოხდეს.

**წარმოდგენა.** დღეს ქალაქის თეატრში წარმოდგენილ იქნება „სალხინო" ვ. ბარველის მიერ გადმოკეთებული პიესა 4 მოქმედებათ.

**ჯამაგირის მომატების შესახებ** ბათომის ოლქში ახლად არჩეულმა ინსპექტორმა ილ. ფერაძემ ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში განცხადება შეიტანა, რომ მას მოემატოს ჯამაგირი 500 მანეთამდის. დღეს კი ინსპექტორებს ეძლევათ თვიურათ 318 მანეთი.

**ბოლშევიკების ქუთაისის კომიტეტის განცხადება.** უკანასკნელ ხანებში გახშირდა შემდეგი შემთხვევები: ვიღაც შანტაჟისტები და ავაზაკები წერილებს უგზავნიან სხვა და სხვა პირთ და „ბოლშევიკების" სახელით ფულს სთხოვენ ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. პ. (ბოლშევიკებისა) სთხოვს იმ პირთ, რომელსაც ასეთი წერილები მოუვა დაუყონებლივ აცნობონ კომიტეტს და აგრეთვე მილიციას. თავისი მხრით კომიტეტი მიიღებს სასტიკ ზომებს ასეთ ყაჩაღების და შანტაჟისტების წინაალმდეგ.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

— ქ. **ზესტაფონი.** ამ დღეებში აქ დაიწვა დარისპან მაღლაკელიძის სავაჭრო. ზარალი 77, 500 მანეთს უდრის.

— ქ. **ფოთი.** ოქტომბრის განმავლობაში მილიციის უფროსმა შეკრიბა სხვა და სხვა გადასახადები სულ 1458 მანეთი და 68 კაპეიკი.

**სოფ. ჭკადუაში.** (ზუგ. მაზრა) უცნობი ბოროტ გამზრახველები თავს დაესხენ პახუ ანტიას ოჯახს. მოჰკლეს პახუ, მისი ვაჟი იულონი და დასჭრეს ქალიშვილი ელისაბედი. ბოროტგამზრახველების აღმოსაჩენათ ზომები მიღებული.

# ჩვენ არ გვინდა შემწეობა?

ამა წლის 15 იანვრისთვის русская воля-ს 140№ში იყო მოთავსებული სერბიელი გ. ა. ცემოვიჩის ღირსშესანიშნავი წერილი. რამდენად საფუძვლიანი ყოფილა მისი სულის აღშფოთება რუსეთის აწმყო მდგომარეობით გამოწვეული ქართველმა მკითხველმა თვით განსაჯოს.—აი ეს წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „ჩვენ არ გვინდა თქვენი შემწეობა".

— როდესაც ვკითხულობ русская воля-ში „რუსეთი და სერბეთი" და ვითვალისწინებ რაც ხდება ახლა რუსეთში, არ შემიძლია თავი შევიკავო და არა ვსთქვა ის რასაც მე ვფიქრობ და, შეიძლება, რასაც ფიქრობს უმეტესი ნაწილი სერბეთის ხალხისა.

მე მინდა გიამბოთ ის რაიცა დამიგროვდა გულში, მეტი სიჩუმე აღარ შემიძლია, მისთვის რომ ხომ უნდა სთქვას ვინმემ მაინც: „აიხადე ნიღაბი, დაგვანახე სინამდვილე".

როგორც სერბელი, როგორც რუსის სტუდენტი და როგორც საზოგადოთ სლავიანი, მე ხშირად, ძალიან ხშირად ვეკითხები ხოლმე ჩემ თავს: „სადაა რუსის ხალხი? ნუ თუ ის ამ სამი თვის განმავლობაში გადნა, როგორც თოვლი მზისაგან! ან, შეიძლება, რუსის ხალხი ჯერ კიდევ თავის სოროში იმალებოდეს და იქიდან უცქეროდეს საშინელი თვალებით იმათ, ვინც გაბედავს მის მაგიერ და მისი სახელით ლაპარაკს!"

სტატიის „რუსეთი და სერბეთი-ს" ავტორი მართალს ამბობს. რომ სერბეთის ხალხს ყოველთვის უყვარდა რუსეთი და იმას კი ვერ იტყვის რომ სერბებს შემდეგშიაც ეყვარებათ ის, როდესაც რუსის ხალხის სახელით გაიძახიან: „ჩვენ ვიბრძვით ყოველი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ ვაიძულოთ ავსტრია, განთავისუფლოს თავისი ხალხი, რადგანაც ეს მისი პირადი საქმეა-"ო დიახ, სერბეთის ხალხს თავი არ მიუნებებია თავის იდეალებისათვის, მაგრამ მას გული ბოლმით აევსო და მისი ბრალი აღარ იქმნება, თუ რუსეთის ხალხიც ბოლგარელების კვალზე წავა. შეიძლება რუსის ხალხის კი არა მაგრამ საუბედუროთ ახლა ძნელად გამოსარკვევია, როდესაც ისეთი კაცები, როგორიც არიან როგრიში და კომპ. ლაპარაკობენ მისი სახელით, პლეხანოვი, მილიუკოვი, კრაპოტკინი, როძიანკო, კერენსკი, შიდლოვსკი და სხვ. ყველანი ერენი აღმოჩნდენ თურმე ისეთ კაცებათ, რომელნიც მუშაობენ მოკავშირეთა და რუსის ბურჟუაზიის სასარგებლოდ და რუსის ხალხის წინააღმდეგ. მეორე მხრით ნახამკესი, ტროცკი, როზენფელდი, ლენინი, რ. გრიმი, ბარხიერგი და სხვა.-რუსის ხალხის გულის თქმის გამომხატველად.—

დიაღ, მე ვიმეორებ, რომ ის 12 მილიონი სერბები, ხორვარტები და სლოვინები ერთი საათით რომ მაინც გაისეირნებდნენ პეტროგრადში, ისინი გაემართებიან პირდაპირ მათკენ, რომელნიც თათბირობენ ზახარიევის ქუჩაზე, 13, და ხმა მაღლა შესძახებდნენ: „ჩვენ გაგგზავნეთ თქვენ რუსებთან, რისათვის ბრძანდებით აქ? ახლავე გასწით და ეძებეთ რუსის ხალხი იქ, სადაც ის არის და თუ ის სულ აღარ არის, მაშინ წავიდეთ და ყველანი ან დავიხოცოთ, ან მოვიპოვოთ თავისუფლება".

მახსოვს და ჩემ თვალის წინ მიდგია მთაშავეთის საზღვარზე მდებარე სერბეთის სოფლები, რომელნიც წინეთ ოტომანის იმპერიაში იმყოფებოდენ. იქ დავიბადე, იქ, მაშინაც, როდესაც დედის ძუძუს ვწოვდი, ვგრძნობდი, რომ მე სერბელი ვიყავი და როდესაც ხუთი წლის შევიქმენი ვიცოდი, რომ ჩვენ რუსებთან ერთად 180 მილიონი ვიყავით, რითაც მეძლიერ ვამაყობდი. დიახ, ბავშვიც ვიცნობდი რუსის ხალხს და ახლა აი რუსის სატახტო ქალაქში, რევოლიუციურ პეტროგრადში ვარ, სადაც ზრუნავენ თითოეულ სოფელზე ინდოეთში, მაროკოში, მე ვხედები ჩემს ამხანაგებს სტუდენტებს, რომლებიც სერბეთს ისე იცნობენ, როგორც მე ჩინეთს და ის პანიის სოფელს. იფეთქა რუს-იაპონიის ომმა, პირველად გავიგონეთ, რომ ყოფილი ვიღაც ხალხი, რომელმაც გაბედა რუსის თავდაცემა. და ჩვენი სერბები, ჯერ კიდევ თათრების უღელ ქვეშ მყოფნი, ივიწყებენ თავის ვარამს და ემზადებიან მოეხმარონ თავის უფროს ძმას შეიძლება, რუსის „ინტერნაციონალისტმა" მითხრას; „აი გულმტკივნეულობა. ჩვენ ერობას არ ვიცნობთ!" მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით სხვისი თვითმპყრობელობის გემო, რომელიმე მეფის თვით-მპყრობელობის კი არა, არამედ უცხო ნემეცის მადიარის და თათრის ხალხისა და პასუხად ვეტყვით ამ რუსის ინტერ-ნაციონალისტებს:-თქვენ, როდესაც კადმოიარეთ გერმანეთზე, როცა არ დაიყავით და არ გამობრძანდით ვაგონიდან რომ გექადაგნათ გერმანეთშიაც ის, რასაც ქადაგობთ რუსეთში? თავისუფლება ხომ ყველგანაა! და რატომ?—მაგრამ ამაზე თქვენ პასუხს ვერ მომცემთ.

ასე, ჩვენმა სერბებმა გადასწყვიტეს წასულიყვნენ მოსკოველების მისაშველებლად მაგრამ—ვაი, რომ სათათრეთმაც და ავსტრიამაც გადაწყვეტილი უარი სთქვეს ჩვენ გაშვებაზე. გათავდა მით რომ მამა ჩემი და რამოდენიმე სხვებიც მისცეს პასუხისგებაში მუხანათობისათვის. ერთხელ შემოვიდა ჩვენ სასწავლებელში თათრის პოლკოვნიკი და გვითხრა, რომ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ე. ი. სათათრეთი და ბრწყინვალე სულთანი; მომიბრუნდა მე და წმინდა სერბეთის ენაზე მითხრა: „ია სამ ტი დონასუხაისნო ბაბა" (მე დღეს მამაშენი დავატყვევე), რაზედაც მე იმას ვუპასუხე: —ლაჟე (ცრუობ), რადგანაც მე ვერ წარმოვადგენდი, თუ მამაჩემს ვინმე გაუბედავდა დაჭერას რუსებისადმი სიყვარულისათვის.

რამდენი რომ გადაგვიტანია რამდენი ტანჯვა გამოგვივლია, მხოლოდ მისთვის რომ გვიყვარდა რუსის ხალხი, ვაი, რომ მგონია, ახლაც იმედ-დაკარგულ შეყვარებულის მდგომარეობაში ვართ, რომლის დანახვაც მხოლოდ სიბრალულს იწვევს.

დიახ, ჩვენ უზომოთ, გულწრფელად და თავდადებით გვიყვარდით თქვენ. ჩვენთვის რუსი იყო სასურველი უფროსი ძმა, რომელიც დიდი ხნის განშორების შემდეგ ბრუნდება სახლში, ჩვენ ყოველთვის საწსტეფანოს, ბერლინის ტრაქტატის და ჩერნოგორიის ბლოკადის შემდეგ, და ყველა დიპლომატიური აქტების შემდეგ ვაიმედებდით ჩვენ თავს, რომ ეს რუსის ხალხის კი არა, რუსის თვითმპყრობელობის ბრალია და ჩვენ გვრწმადა, რომ რუსის ხალხი ამას არ იზამდა.

დადგა რუსის თავისუფლება. მე ის წარმოდგენილი მქონდა როგორც მშვენიერი, ძლიერი და ღონიერი დედაკაცი, რომელიც თავდაპირველად შემოიკრებს გარშემო თავის შვილებს, რომელთა სახელებიც ჯერ არ დავიწყებულან: პოლონელებს, ჩეხებს. ხორვარტებს, რუსინებს, სლოვინცებს და თავისუფლების სხივებით ცოტათ მაინც გაალონიერებს დაქანცულ ძმებს. მე წარმოდგენილი მქონდა, რომ რუსის თავისუფლება ჩვენც მოგვანიჭებდა თავისუფლებას მე ბედნიერად ვსთვლიდი ჩემს თავს, რომ ახლა რუსის ხალხი ბონა აღარ არის ნემეცების და რუსების ბარნების, რომ ის გამოიჩენს თავის დიდ სულს და გაასწორებს ათას თავის და ჩვენი მტანჯველების შეცდომებს, მაგრამ, ვაი, რომ ჩვენ სულ სხვასა ვხედავთ.

ქუხს სიტყვები, როგორც სამგლოვიარო ზარი: „ძმობილება", „სეპარატიული ზავი", „გაუმარჯოს გერმანეთს", ჩვენ მოვიქანცეთ, ჩხუბი აღარ შეგვიძლია", „ჩვენ რათ უნდა ვიომოთ რაღაც სერბეთისათვის", „ზავი, რათაც უნდა დაგვიჯდეს" და სხვ.

და იმათთან მიდიან ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლები, ევედრებიან მათ, რომ მოეხმარონ საწყალ სერბებს. ისინი კი, შესწყვეტენ რა ცოტა ხნით მზეს უმზირის მარცვლების ღეჭვას, თეატრში თავისუფლად მჯდომარენი (უეჭველად უფრო თავისუფლად მინამ პოზიციის თხრილებში) უპასუხებენ აქ პეტროგრადში ელჩს სპოლაიკოვიჩს: „მოგეხმარებით" ოდესაში კონსულს მ. პ. ცემოვიჩს: „გამოგიხსნით", ჰგავს, ფიქრობენ ისინი, რომ ძმობილებით, დეზერტირობით ინტერნაციონალებათ ჩაწერით, რ. გრიმის ხელში ტარებით, შეტევის უარყოფით, ჩვენ „მოგვეხმარებიან", ჩვენ „გამოგვიხსნიან".

და ჩვენი წარმომადგენლნი კიდევ მოუწოდებენ საშველად ამ რუსის სალდათებს. რა სირცხვილია! განა შემიძლია მე მოვუწოდო საშველად რუსის სალდათს, რომელიც ჩემი დედის სისხლის გამომწოვ ნემეცსა ჰქოცნის? შემიძლია მოვუწოდო საშველად რუსის სალდათს იმ ხელებს. რომლებითაც ის [illegible] ნემეცს იმ ხელს, რომელმაც გული [illegible] ჩემ დას? შემიძლია მოვუწოდო საშველად იმ რუსის სალდათს რომელიც ნემეცებს აძლევს [illegible] [illegible] შილი [illegible] [illegible] ჩემ [illegible] თავის საშინელ [illegible] [illegible].

შემიძლია დავუძახო საშველად იმ რუსის სალდათს, რომ მან მოგვცეს ჩვენ თავისუფლება, მაშინ როდესაც ის არ აფასებს თავისას, რომელიც ნემეცში ხედავს ძმას და სრულიად არა სურს მასთან ბრძოლა, იმ ნემეცში, რომელიც თავის გასართობად შტიკებით ატარებდა ჩემ პატარა ძმებსა და დებს? არა მე არ შემიძლია და არც მინდა! ამისთანა თავისუფლება ჩვენ არ გვინდა! ამისთანა ხელებიდან სერბელი ხალხის თავისუფლებას არ მიიღებს და ნურც ზრუნავენ ჩვენთვის ეს „მშვიდობის მყოფელნი", რადგანაც ამით ისინი ჩვენ იარებსა ხსნიან და ტკივილებს გვიმწვავებენ.

ჩვენ არ გავქრებით! ჩვენ გადავიტანეთ ძლიერი შემოსევა მხეცი თათრებისა ხუთასი წლის წინეთ და მაინც არ გავქრით. მაშინ ჩვენ ვიყავით მარტო, ახლა ჩვენთან არის მამაცი ფრანგის ხალხი, ჩვენთან არიან კეთილ შობილი ინგლისელები, ჩვენთან არიან თავ მოყვარე ამერიკელები, ჩვენთან არის რუსის პატიოსანი არმია, კაზაკობა, ქალების სასიკვდილო ლეგიონი, ჩვენთან არის ყველაფერი, რაც კი მოიპოება პატიოსან რუსეთში და ჩვენ გავიმარჯვებთ!

და თქვენ რუსის სალდათებო და აფიცრებო, რომლებიც რაღაც სერბელების ვალდებულებაზე დაბურული წარმოდგენით ყოყმანობთ, თქვენ, რომლებიც ძმობილობით დაეძებთ სეპარატიულ ზავს, ზავს, რაც უნდა იქმნეს, თქვენ, რომლებიც ენდობით გერმანეთიდან მოსულ რ. გრიმთან ერთად მომქმედი, თქვენ, რომელთაც არა გსურსთ დაიცვათ არც თქვენი თავისუფლება და არც თქვენი სამშობლო, თქვენი შემწეობა ჩვენ არ გვინდა—სერბელი ხალხი უფრო მოკვდება პატიოსნად, მინამ მოგიწოდებს თქვენ.

და შენ, რუსის ხალხი! რას გაჩუმებულხარ? დაფიქრებული ხარ, თუ გძინავს, თუ შეგეშინდა ინტერნაციონალის ძლიერი ტალღისა?

ნუ თუ შენ, რუსის ხალხო, რომელმაც მოუვლინე ქვეყანას ტოლსტოი, სუვოროვი, პუშკინი, კუტუზოვი, ლერმონტოვი, სკობელევი, კრაპოტკინი, ბრუსილოვი, რომელთა სიცოცხლეც მდგომარეობდა საუკუნო ბრძოლაში, არ შეგიძლია უფლებით და ხმა მაღლა სთქვა, რომ აძაგძაგდეს მთელი ქვეყნიერობა: „კმარა, ჩამოდექით თქვენ ყველანი, ახლა მე მინდა ვილაპარაკო!"

ღმერთო ჩემო, როგორ დაფრთხებიან ეს საწყალი მშიშრები, და შენ კი, დიდო რუსის ხალხო, თვიონ გაგიკვირდება, რომ ასე დიდხანს ყოყმანობდი.

ზემოური.

1917 წ.

# საუბარი გლეხთან.

სწორედ იმ დროს, როდესაც დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნები ხდებოდა, მომიხდა ყოფნა სოფლად. სრულებით შემთხვევით ისეთ ოჯახში მიმიწვიეს, რომელსაც არ ვიცნობდი, სადაც არასოდეს არ ვყოფილვარ. იქ შეკრებილიყვნენ ხუთმეტამდე გლეხები და მომენტის შესახებ გულახდილად, მშვიდათ და დარბაისლურად ერთმანეთს თავიანთ აზრს უზიარებდენ.

სწორედ ასეთ წრეში, ჩემდა სასიხარულოდ, ჩამაგდო ბედმა. მოხარული ვიყავი იმისთვის, სწორედ ამ ადგილას, ამ ფრიად სიმპატიურ წრეში მე შემეძლო ყური დამეგდო გლეხის გულ-ახდილი, სწორი საუბარისთვის, გამეგო მისი სულის-კვეთება, ფიქრის საგანი, მისი აზრი და სურვილები. მიტინგზე თქვენ ვერ მიაღწევთ მიზანს, საწადელს, ვერ შესძლებთ დინჯათ საუბარს გლეხთან, ვერ მიახვედრებთ გაუზიარებთ მას თქვენს აზრს, შეხედულებას, რადგანაც ის რა[illegible] გებრობის ქვეშ იმყოფება და

ლი, დაჩაგრულია გამბედაობა მისი. მიტინგი საშინელი მღელვარების და ხმაურობის გამომწვევია, უკმაყოფილება, შეურაცყოფა, გინება, ლანძღვა, პიროვნების შეხება, და დაუსრულ ნათქვამის არ გაგება, აი რითი ხასიათდება დღეს სოფლის მიტინგი. ამიტომ, მე მოხარული ვიყავ, როდესაც მოვხვდი, შემთხვევის წყალობით, აღნიშნულ წრეში გლეხთა— მეგრელებისა.

საუბრობდნენ გლეხები, გულ ახდილად მუსაიფობდენ. მათი საუბრის საგანი იყო: ომი, ზავი, გერმანეთის მეფე სიძლიერე, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები, მათი ღირსება—ნაკლოვანების აღნიშვნა, მიწის საკითხი, და სხვადასხვა საგანი მსჯელობის, როგორც ხედავთ საყურადღებო და სერიოზულია. სწორედ იმაზე მსჯელობდენ, რაც მეც მაინტერესებდა. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყარ მათ საუბარს მაშინ, როდესაც საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს შეეხენ. განიხილეს პარტიები დიდ ხანს იმსჯელეს და გამოირკვა, რომ უმეტესობა იქ მყოფი გლეხებისა ყოფილან სოციალ-დემოკრატები. ეს შევატყვე თავიდანვე. ამბობდენ რას: „მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატია, არის ერთად ერთი პარტია, რომელიც იცავს ჩვენ ინტერესებს. ის იბრძოდა და დღესაც იბრძვის თავისუფლებისათვის. **ს.-დემოკრატები იცავენ კერძო საკუთრებას და აგრეთვე უფასოდ გვაძლევენ ჩვენ მიწებს ნორმის შესავსებლად** და ეს არის ის, რაც ჩვენ გვინდა, რაც ჩვენთვის ყველაფერზე უფრო საჭიროა, ე. ი. მიწა. თავისუფალი ვიქნებით გადასახადებიდან და სხვა"—ყველანი დასტურს სცემდენ ამხანაგის სიტყვებს. ყველას მოსწონდა მისი სიტყვები, აზრი და სრულის იმედით გადაწყვეტილი ჰქონდათ, ხმა მიეცათ პირველი ნომრისთვის. სხვათა შორის ერთი გლეხი, სოფელ ლერწუმეს მცხოვრები ამბობდა შემდეგს: „აი, ამხანაგებო, ავიღოთ ეს ბოთლი. ამ ბოთლიდან წყალს ვსვამთ ათი კაცი. დალევს ერთი—წავა, მეორე დალევს—წავა; ასე დავლევთ ყველანი შემდეგ, მითხარით, ვინ გამორეცხავს ამ ბოთლს, ვინ აავსებს კვლავ წყლით? ეს იმაზე გითხარით რომ, მიწა რომ წაგვართვან, ჩემი საკუთრება არ მქონდეს და ყველანი მიგვასიონ ერთ ადგილს, ცხადია, ნაყოფიერად იმ ადგილს არავინ დაამუშავებს და, როგორც ის ბოთლი დარჩება ბინძურად, ისე ის ადგილიც უნაყოფო იქნება. ამიტომ არის, რომ ჩვენ ფედერალისტები და რევოლუციონერები არ გვინდა. სოციალ-დემოკრატები კი საკუთრებას იცავენ მუდამ და, თუ არ გაქვს, უფასოდ გაძლევენ".—ასე მსჯელობდა გლეხი. ზემოთქმული არის სიტყვა ნამდვილი თავისუფლად მობაასე გაჭივრებული გლეხისა. მე სიხარულით ვუსმენდი მათი სულის ნამდვილ მოთხოვნილებას, მაგრამ ვწუხდი, როდესაც თავს აკედლებდენ ისეთ პარტიას, რომელიც ზემოთ გლეხის მიერ აღნიშნულ ინტერესების დამცველი სრულებით არ არის. გლეხი გაუგებრობაში იყო ჩავარდნილი. გლეხი სწორ გზაზე იდგა თავისი სურვილ-ინტერესით, მაგრამ გაუგებრობით თავის თავს სოციალ დემოკრატს უწოდებდა.

დასრულდა მათი საუბარი, ჩავერიე მე. და ვიწყეთ შეთანხმებულად მსჯელობა. მივმართე მათ კითხვით, რაზედაც ზემოთქმული განიმეორეს, ე. ი. „კერძო საკუთრება მუდამ და მარადის"—აი, მათი მოთხოვნილების პირველი საგანი.

არავითარი იჯარა, არავითარი არენდი, „საკუთრება და მხოლოდ საკუთრება, ნახევარი ქცევა, მაგრამ საკუთარი" აი, გულის სიღრმიდან ამოღებული ნამდვილი სიტყვა, ნამდვილი სურვილი გაჭივრებული გლეხისა, რომელიც გაუგებრობას შეუპყრია. აქ კი მივეშველე გლეხს. ავუხსენი ყველა პარტიის პროგრამა ერთი სოციალ-ფედერალისტის თანადასწრებით. ვუთხარი სიტყვა სოციალიზმის შესახებ. განვუმარტე სოციალისტური პარტიების აგრარული საკითხი და შევატყვე, რომ მიხვდენ საქმის ნამდვილ ვითარებას, გაიგეს ჭეშმარიტება და იგრძნეს, რომ სოციალიზმი და გლეხის ინტერესი ერთმანეთ დაშორებულია. ამაზე თვით იმსჯელეს. სხვათა შორის, თვით ფედერალისტების წარმომადგენელმაც განმარტა სო[...], და წამსვე გლეხებმა უარყოფით შეხედეს მის განხორციელებას. მეტი რა ვსთქვა, მკითხველო! მე დამაინტერესა მხოლოდ გლეხის ნამდვილმა სურვილმა და ის შენც გამცნე, ჩემო ამხანაგო, და განსაჯე თვითონ, ვისთან ქონია მეტი საერთო გლეხებს: სოციალისტებთან, კერძო საკუთრების უარმყოფელებთან, თუ ეროვნულ დემოკრატებთან, რომლებიც იცავენ კერძო საკუთრებას მუდამ და მარადის?

8. მეგრი.

## ფარული ხმის მიცემა.

ამ კვირკობის 19 რიცხვს საღამოს ჩხირაულის საზოგადოებაში (შორაპნის მაზრა) თვითეულმა ხმის უფლებიანმა კაცმა მიიღო ასის თავის ხელით მანდატი ხმის უფლებისა და ბრძანება, რომ ის გამოცხადდეს დანიშნულ ადგილას უეჭველად 12 ამავეთვეს, ავადმყოფნი და მეუძლნი ურმით იქმნენ მიყვანილნი. მანდატთან ერთად ჩაბარდა ხმოსნის დამფუძნებელ კრებაში გასაგზავნ კანდიდატების სია, რომელზედაც მსხვილი ასოებით აწერია: „ხმას ვაძლევთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.

მეორე დღეს დილით მთელმა სოფელმა გამომიარა და მეკითხებოდენ: „ვის უნდა მივცეთ ხმა, ჩვენ სრულიად არაფერი გაგვეგება ამისი, გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ." მე, რამდენადაც შემეძლო, ავუხსენი შინაარსი ჩვენებურ პარტიების პროგრამებისა და უთხარი, რომ იმათ თვითონ ამოერჩიათ მათი შესაფერი პარტია. ყველამ ეროვნული პარტია ირჩია. შემდეგ მივედით დანიშნულ ადგილზე, იქაც მთელი ხალხი შამომეხვია და მეკითხებოდენ: მათაც ისე მოვექეცი, როგორც სხვებს. ჩვენი საქმე—სწორედ ეროვნული დემოკრატი ყოფილაო, ამბობდნენ დღემდი კი არავინ გაგვაგებიაო. ამასობაში მობრძანდა ვიღაც კრების ხელ მძღვანელი, მუშის ტანისამოსში გამოწყობილი. უბრძანა მაშინვე სახლიდან და მისი დერეფნიდან ხალხი გამოეყარათ. დასხა დერეფანში სამი კაცი, ერთი მდივანი და დაიწყო ჩამოწერილი სიის კითხვა.—აბა მოიტანე შენი მანდატი! გლეხი მიართმევს —მეორე ქაღალდიხაც! ისიც ხელში უჭირავს გლეხს—აბა ეგ ქაღალდი ამ კონვერტში ჩასდე, ახლა დაბეჭდე, ახლა ამ ოთახში შედი, იქ ყუთი დგას და ფარულად ჩააგდე!

ოთახში მას ორი თოფიანი მილიციონერი დახვდება და კანვერტს თავის თვალს წინ ჩააგდებინებს ყუთში. მესამედ, თუ მეოთხედ დაუძახეს მანდილოსანს, რომელიც დაჟინებით ამბობდა, რაც უნდა იქმნეს, მე იმათ ხმას არ მივცემო. ამასაც მისცეს კონვერტი თვის თვალის წინ ჩაადებინეს ქაღალდი, რომელშიდაც ეწერა „ხმას ვაძლევ რუს. ს. დ. მუშ. პ. სიას", დააბეჭდინეს და შეგზავნეს ოთახში. მან კონვერტი ხელში მოკუმშა, ფიქრობდა, არ ჩავაგდებ, ისე გამოვალო, მაგრამ, დახე მის ბედს, თოფიანმა მილიციონერებმა მიაძახეს, რას კუმშავ მაგ კონვერტს კარგა გაშალე და ჩააგდე ამ ყუთში! ის შიშმა მოიცვა, კონვერტი ყუთში ჩაუგდეს გაფითრებული გამოვიდა გარეთ და იმეორებდა „ეს არის ფარული ხმის მიცემა?!"

მე მივედი ხელმძღვანელთან და ვსთხოვე—აეხსნა დღევანდელი არჩევნების წესი და პასუხად მივიღე: „კონვერტს მიიღებ, აი ქაღალდს შიგ ჩასდებ ჩვენ წინაშე, დაბეჭდავ, შემდეგ შეხვალ აი ამ ოთახში და ჩააგდებ ყუთში".

სხვა პარტიის თუ არის ვინმე და არ სურს ამ პარტიას ხმა მისცეს, ისინი ხომ თავისუფალი არიან, შეუძლიანთ სახლში წავიდენ?—აქ სხვა პარტია არ უნდა იყოს და არც არვის ნება აქვს სახლში წასვლისა, ყველამ—ხმა უნდა მისცეს, მეტი ლაპარაკი თქვენთან არა მცალიან, თქვენ, თუ მაინც. არ გსურთ შეგიძლიათ ცარიელი კანვერტი ჩაუგდოთ, მომაყოლა, როდესაც მოვცილდი.

მე, თუმცა სახლში წასვლა აკრძალული მქონდა ამ გამგესთანმა, გრამ მაინც მაშინვე წამოვედი და გამოვჰყვენ ისინიც, ვისაც გამბედაობა ჰქონდა და ხმა აღარ მისცეს.

მეორე დღეს ჩემთან წამოსულებს ეკითხებოდენ დარჩენილები,—„კაცო, არ გეშინიათ, რომ წამოდით და ხმა აღარ მიეცით?! არც ჩვენ გვინდოდა ხმის მიცემა, მაგრამ გვეშინოდა ვინ იცის, რას გვიზამდენ".—ამ ფაქტს კომენტარიები აღარ ესაჭიროება. ცხადია, როგორი სამართლიანი იქნება ამ ნაირად მოპოვებული ხმები.

ზემოური.

## სალიტერატურო საღამო
### წმიდა ნინოს ქ. სასწავლებელში.

საქართველოს ისტორია, რუსეთთან შეერთებამდის ნათლად მოწმობს, რომ ქართველი ქალი ერთგული დარაჯი ყოფილა თავის ტურფა და კეკლუც სამშობლოსი. ისტორია იმასაც მოწმობს, რომ არა ერთსა და ორს ქართველ ქალს სიცოცხლეც კი შეუწირავს, თავის სული და ხორციც უნაცვალებია საქართველოსათვის, ბედკრულ მეცხრამეტე საუკუნეს ასეთი თავდადებული მანდილოსნები აღარ წარმოუშვავს საქართველოსთვის. ეს სამწუხარო მოვლენა დიდ საგონებელში აგდებდა საქართველოს ერთგულ-შვილებს. დიდებულ მამული შვილის აკაკის მუზა ბედკრულ ქართველ ქალის გადაგვარებას დასტიროდა. ვინ არ იცის მისი გრძნობით სავსე ლექსი „სიზმარი", სადაც იგი ქართველ ქალებს იდიალად უყენებს თამარ, ნინოს და ქეთევანს. პრიწყინვალე რუსეთის რევოლუციამ, რომ კიდევ ერთი საუკუნე და ეგვ ნებია, ჩვენი სამშობლოს საქმე განსაცდელში ჩავარდებოდა, მაგრამ, უსამართლო სამართლის შემოქმედები ჩვენში, უფსკრულში ჩავარდა და ჩვენი ტანჯული ქვეყანაც მკვდრეთით აღსდგა. ყოველი შეგნებული ქართველი დღეს იმას სცდილობს, რომ ამ აღდგომას თავის საგალობელი უძღვნას, გაამშვენოს იგი, გაალამაზოს და განსპეტაკებული გადასცეს მომავალ ახალ თაობას. ამ იდეიებით გატაცებულმა ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელმა პირველი ნაბიჯი გადადგა. ამ სასწავლებლის მეექვსე ორივე კლასის მოსწავლეებმა, საქართველოს მკვდრეთით აღდგომის სიხარულის ნიშნად, სრულიად თავის ხარჯით 18 ამა გიორგობისთვეს სალიტერატურო საღამო გამართეს. საღამოს პროგრამა მარტივი და მეტად შინაარსიანი იყო.

პირველ განყოფილებაში გრძნობით სავსე ლექსები წაიკითხეს შავთვალა გოგუცუნეებმა: ვ. გაბისკირიამ, მ. გელოვანმა, ბ. მუჯირმა და მ. სულუხიამ. ლექსების გრძნობით წაკითხვაში ერთი ერთმანეთს სჯობდნენ ეს ქალიშვილები მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი კომედია „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია", მესამეში ცოცხალი სურათები და ბოლოს გამართეს ქართული ცეკვა. კომედიაში შვინდაძისა და მაკოს როლი ლამაზად შეასრულეს გაბისკირიამ და გელოვანის ქალებმა. ასეთი ლიტერატურული საღამოები უცხო ხილი იყო წმიდა ნინოს ქ. სასწავლებელში ძველი უფროსების დროს, მაგრამ ბ. გაბარაშვილის შემდეგ ამ სასწავლებელმა ფერი იცვალა და წმიდა ეროვნულ ნიადაგზე დადგა.

გულ უხვმა მასპინძლებმა მარტო ესტეტიური გრძნობის დაკმაყოფილებით არ შემოფარგლეს თავის შრომა და ძვირფას სტუმრებს, საღამოს შემდეგ, ჩაით გაუმასპინძლდნენ. ამ საღამომ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, თუ რა სპეტაკი, ლამაზი და სამშობლოს მოყვარულია ქართველი ახალგაზრდობის გული. ღმერთო, ეხვევ გული მიეცი მათ მშობლებსაც.

მ. ბუაჩიძე.

## მასწავლებელი ქალიც ასეთი უნდა.

მე მოვიყვანე, ბ. მკითხველო, ნ. მესხის წინააღმდეგ, ის უტყუარი ფაქტები, რაც უკვე დაუმტკიცდა მას და რასაც ახალი დამტკიცება არ ესაჭიროება (სხვებს რო გამოუდგე—შორს წავალთ) და თუ ჩემს მიერ ზემომოყვანილი მსჯელობა მისაღებია, ნება მიბოძეთ, ბ. მკითხველო, რომ იმ კორპორაციას, რომელიც ბ. ნ. მესხის „გმობულ მოღვაწეობის" წინააღმდეგ ხმას არ იღებდა და დღესაც ამ ახალ ხანაში, არ იღებს, არავითარი ზნეობრივი იურიდიული უფლება არ ქონდა ჩემთვის ბოიკოტი გამოეცხადებია და თუ მიუხედავად ამისა ქ. მარიამ ლამბაშიძის ასული ამას ანგარიშს არ უწევს და მაინც თავისასას გაიძახის, აქ ჩვენ გვაქვს საქმე, ერთის მხრით, მის მსჯელობის ულოღიკობასთან, ხოლო მეორეს მხრით, მის, ქ-ბ. მარიამის, ჩვეულებრივ ჰორიკანობასთან.

ეხლა ნებას ვაძლევ ჩემს თავს გადავიდე თვით ქ-ბ. მარიამის მოღვაწეობაზე: 1915 წლის 28 იანვარს, როცა საოლქო ინსპექტორი ბ. სლოვინკი დირექტორ ვიშნევსკის და ინსპექტორ გრ-მანის თანხლებით დაესწრო ქალაქის მ-სამე სკოლაში გაკვეთილებს და მეორე განყოფილებაში მოითხოვა მასწავლებლისაგან მიეცა მოწაფეებისათვის გამოსაყვანი ფორმული არითმეტიკული ამოცანა რუსულად, ამ განყოფილების მასწავლებელმა ქ-ბ. მარიამ ლამბაშიძის ასულმა განაცხადა ანგარიში მეორე განყოფილებაში 1881 წ. სასწავლო გეგმის თანახმად ქართულად ვასწავლით. (დასახელებული სასწ. გეგმით კი ეს საგანი მეორე განყოფილებაში [...] ორივე ენაზე) ამის გაგონებაზე გრაზმოწეულმა ბ. სლოვინსკიმ წინადადება მისცა სკოლის გამგეს ბ. ნ. მესხს, რათა მას მოეტანა 1881 წლის პლანი და გადაეცა. ქ. ბ. მარიამისათვის გასაცნობათ. მხოლოდ მაშინ ქ. ბ. მარიამი მიხვდა რომ საქმე ცუდად იყო და რომ დაეცვლა თავისი უვიცობ სასკოლო საქმეში, ტირილით განუცხადა: „Ваше Превосходительство! Корпорація учащихъ постановила во 2-омъ отд. ориѳметику проходить только на грузинскомъ языкѣ" ო. აქ ქ. ბ. მარიამმა, როგორც მიხვდება თვით ბ. მკითხველი საზოგადოება, პროვოკაცია გაუწია ქალაქის სკოლების მასწავლებელთა კორპორაციას და თუ არა იქვე მყოფი სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. გრმანი, რომელმაც პროტესტი განაცხადა მარიამ ლამბაშიძის ასულის ასეთ პროვოკაციული მოხსენების წინააღმდეგ, ვინ იცის ამ დროში რა ბედი ეწეოდა თუ მთელ კორპორაციას არა, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ მის წევრებს მაინც. ამ საქმეზე მე ორჯერ დამიბარეს დირექციაში. ბოლოს, როგორც იყო, დირექციაც დარწმუნდა ქ-ბ. მარიამის პროვოკაციაში და თავი დაგვანება. იბადება კითხვა—იყო თუ არა „კორპორაცია" ვალდებული რამე ზომა მიეღო ქ-ბ. მარიამის წინააღმდეგ, რომ ის 1881 წ. გეგმას მაინც გაცნობოდა და შემდეგში ასეთი პროვოკაციისთვის თავი დაენებებია?! აი ასეთი უვიცი მასწ., როგორიც ბრძანდება ქ-ბ. მარიამი, დღეს თავის თავს ვერ იცნობს, თავის თვალში მღვირეს ვერ ამჩნევს და სხვის თვალში კი ბეწვს დაეძებს.

თავის საპასუხო წერილს ქ-ბ. მარიამი ათავებს სიტყვებით: „წინდა წინვე გატყობინებთ, ბ. ანტონ, რომ ეს პირველი და უკანასკნელი პასუხი არის ჩემი. გირჩევთ შემდეგში ნურც მე შემაწუხებთ და ნურც თქვენს თავს იწუხებთ. თუ საქმის ვითარება გაინტერესებსთ, მიმართეთ სამასწავლებლო სასამართლო"-ს. როგორც ყორანი არაა დამნაშავე თავის სიშავეში, აგრეთვე მარიამ ლამბაშიძის ასულის ბრალი, არ არის, რომ ის ბუნებამ ჰორიკანად და ყოველივე პრინციპს მოკლებულ ადამიანად შექმნა და როგორც ასეთი, ის არც უნდა იყოს ღირსი ვინმემ სამასწავლებლო სასამართლოში გამოიწვიოს. ხოლო სასკოლო კომისიის და ქალაქის გამგეობის ის შემადგენლობა, რომელმაც ნებსით თუ უნებლიეთ მოუვლინა ქართველ ღარიბ ნორჩ ბავშვს ნ. მესხისა და მ. ლამბაშიძისთანა არა მასწავლებელნი აღმზრდელად, ჩემის ღრმა რწმენით, კიდევაც ღირსი არის გასამართლებულ იქმნას სახალხო სამსჯავროს მიერ, თუ ეს მოსახერხებელი იქნება. მართლაც, რომ სასოწარკვეთილებას ეძლევი, როცა ანალიზს უკეთებ ყოველივე ამას და ვერ გაგიგია, თუ რა მოსაზრებით მიეცა ქ-ბ. მარიამს მასწავლებლის ადგილი ქალაქის სკოლაში და ისიც, წინააღმდეგ ერთხელ და სამუდამოდ მიღებულ წესისა, უკონკურსოდ, სანიმუშო გაკვეთილის მიუცემლად მაშინ, როცა არც ერთ გამოცდილ მასწავლებელსაც ასე ადვილად არ ღირსებია აქ ადგილი. ამ წესით ქ-ბ. მარიამის ადგილზე დანიშვნა, როგორც ისეთი მასწავლებლის, რომელსაც არავითარი პედაგოგიური განათლება არ მიუღია და, ჩვენის რწმენით, არავითარი პირადის ღირსებითაც არ არის შემკული, იმ დროს, როცა ქ. ქუთაისში იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება არა ერთი და ორი ჩინებული მასწავლებელი, მეტი რო არა ვთქვათ, დიდ ღვაწლად არ ჩაეთვლება სასკოლო კომისიას. მაგრამ კმარა ამაზე, კომისიაც არის და კომისიაც!

ვათავებ რა ამით, ქ-ბ. მარიამ, გაზეთის ფურცლებზე თქვენთან კამათს, საჭიროდ მიმაჩნია ამითვე გაუწყოთ, რომ მე არავითარი უფლება არა მაქვს არ მივიღო თქვენი წინადადება და არ მოგცეთ საშვალება, ნებისამებრ თქვენისა, იმართლოთ თავი საზოგადოების წინაშე იმ ბრალდებაში, რომლებსაც ვაყენებ თქვენს წინააღმდეგ და ამიტომ დიდის სიამოვნებით გიწვევთ თქვენ მასწავლებელთა იმ სასამართლოში, რომელსაც თქვენ ასე არხეინად მიუთითებთ ჩვენ და რომელიც, გარწმუნებთ, ჩემს ბრალდებს ამყარებთ თქვენდა გასამართლებლად. მხოლოდ წინდაწინვე უნდა შევიგნოთ, ქ ბ. მარიამ, რომ ჩვენ ორში, ვისაც დაატყდება საზოგადოების წინაშე უდანაშაულო პიროვნების დაბეზღება და ვინც შეგნებულად ცრუობს, ის თავის ადგილას არ არის და ამიტომ მას უფლება არ უნდა ქონდეს ამ ახალ ხანაში მაინც სახალხო სკოლაში იმასწავლებლოს. ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს უკლებლივ დავამტკიცოთ ყველა ის, რასაც ზევით ვამბობ თქვენზე, სახელდობ:

1. რომ თქვენ 29 მარტის მასწავლებელთა კრებაზე ეწეოდით აგიტაციას ჩემის პიროვნების დასამცირებლად ყოვლად უწმაწურ[...]ლოთ.

2. რომ თქვენი საპასუხო წერილი, რომელიც მოყვანილი მაქვს ზევით, თავიდან ბოლომდის არ შეესაბამება სიმართლეს.

3. რომ თქვენ, ქ. ბ. მარიამ, უვიცი ხართ ტეორეტიულადაც და პრაკტიკულადაც იმ დიდ საქმეში, რომელსაც ეწოდება სახალხო მასწავლებლის საქმე, მასთან ბრძანდებით ჰორიკანი ადამიანი.

ჩემის ფიქრით საჭიროა, რომ მკითხველმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ჩემი გამოსვლა ბ. ნ. მესხის წინააღმდეგ არ არის გამოწვეული არავითარი პირადის ინტერესით, არამედ მას აქვს მხოლოდ პრინციპიალური ხასიათი, მეტი არ იქნება ზემოთ დასახელებულ მის „სავმირო"საქციელთ ერთხელ კიდევ აეხადოს ფარდა. ამიტომ ვიწვევ მასაც ქ-ბ. მარიამ ლამბაშიძის ასულთან ერთად იმავე სასამართლოში. დეე, მასწავლებელთა სასამართლო და ფართე საზოგადოება იყოს ჩვენი მსაჯული.

ანტონ ოდიშარია.

P. S. ამით ვსთხოვ დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა მთავარ გამგეობას ეს საქმე გასაშუქებლად და თავის მსჯავრის დასადებათ გადასცეს ვისაც ჯერ არს ერთი კვირის განმავლობაში.

ა. ოდიშარია.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისსაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში მესხმა „606" და „914") დღით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგვის სახ. ტელეფონი № 135.